საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №111/04
2021 წლის 30 ივლისი

ქ. თბილისი

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„კომერციული ბანკების მიერ პილარ 3-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის №92/04 ბრძანებაში (www.matsne.gov.ge; 23/06/2017; ს/კ: 220020000.18.011.016245) შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ ბრძანებით დამტკიცებული წესის:

1. მე-4 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) ძირითადი ინფორმაცია აქტივებზე:

ზ.ა) რისკის პოზიციის ღირებულების განაწილება ნარჩენი ვადიანობის და რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-17 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ბ) აქტივების მთლიანი ღირებულების, საბალანსო ღირებულების, აქტივებზე რეზერვების და ჩამოწერის განაწილება რისკის კლასების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-18 ცხრილის შესაბამისად;

ზ.გ) აქტივების მთლიანი ღირებულების, საბალანსო ღირებულების, აქტივებზე რეზერვების და ჩამოწერის განაწილება დაფარვის წყაროს სექტორების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-19 ცხრილის შესაბამისად;

ზ.დ) რეზერვის ცვლილება სესხებზე და კორპორატიულ სავალო ფასიან ქაღალდებზე, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-20 ცხრილის შესაბამისად;

ზ.ე) უმოქმედო სესხების ცვლილება, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 21-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ვ) სესხების, სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება, კლასიფიკაციის, ვადაგადაცილების და მსესხებლის ტიპის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 22-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ზ) სესხების, უზრუნველყოფის კოეფიციენტის მიხედვით განაწილებული სესხების, სესხებზე რეზერვების, სესხებზე უზრუნველყოფის ღირებულების და გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხების განაწილება კლასიფიკაციისა და ვადაგადაცილების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 23-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.თ) სესხების და სესხებზე რეზერვის განაწილება, დაფარვის წყაროს სექტორების და კლასიფიკაციის მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 24-ე ცხრილის შესაბამისად;

ზ.ი) სესხების, კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდების და გარესაბალანსო ვალდებულებების განაწილება უზრუნველყოფების მიხედვით, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის 25-ე ცხრილის შესაბამისად;“.

2. მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი, ამ წესის №1 ანგარიშგების ფორმის მე-16 ცხრილის შესაბამისად.“.

3. მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. ბანკები ვალდებული არიან ამ წესის მე-4 მუხლის „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გამჟღავნების მოთხოვნების ეფექტური შესრულება 2021 წლის მეორე კვარტალის კვარტალური ანგარიშგებისთვის უზრუნველყონ 2021 წლის 31 აგვისტომდე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტი **კობა გვენეტაძე**